ს/ნ 202052580

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ.3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

N: 0415/526/24

15/04/2024

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
მოქალაქეთა მომსახურების სამსახური
შემოსვლის № 19834/8
"16" 04 2024 წ
ფურცელი
3

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბ-ნ ირაკლი ჩიდრაშვილს
მის. ილია ჭავჭავაძის გამზ.49ა

04.04.2024 #0404/526/24 (02/აპრილი/2024წ. #6/18371) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მითითებულ მისამართზე (ს.კ.01.19.18.005.103) მიწის ნაკვეთს კვეთს სს „თელასის" კუთვნილი 110კვ-ის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „კენისი 4". საჰაერო ელ.გადამცემი ხაზების მიმდებარედ დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

1.ნაკრძალებში, დასახლებათა გამწვანების ზონაში, პარკებში, საავტომობილო გზისა და რკინიგზის გასწვრივ ქარსაცავ ზოლში-ჰორიზონტალური მანძილით საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მაქსიმალურად გადახრილი განაპირა სადენებიდან ხეების ვარჯამდე, რომელიც უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრისა (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილება., მუხლი 3, პუნქტი ა.გ ქვეპუნქტი ა.გ.გ.).

2.მანძილი სეგხ–ის განაპირა სადენებიდან ორივე მხარეს მაქსიმალური გადახრის შემთხვევაში საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი შენობის უკიდურესად გამოშვერილ ნაწილამდე არ უნდა იყოს 4 მეტრზე ნაკლები. მშენებლობის დროს გათვალისწინებული იქნას მათი აშენება უწვადი მასალების გამოყენებით (ელ.დანადგართა მოწყობის წესების ПУЭ პ. 2.5.115).

3.აკრძალულია ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებთან 110კვ–ის ანძასთან მისასვლელი გზების ლიკვიდაცია ან ჩახერგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი სიგანის) (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილება.მუხლი 4, პუნქტი ე).

4.სეგხ–ის დაზიანების ან უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, ხაზის დაცვის ზონაში (20 მეტრი განაპირა სადენიდან ორივე მხარეს). ყველა სახის სამუშაო წერილობით შეთანხმებული უნდა იყოს სს „თელასის" შესაბამის სამსახურთან (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილება. მუხლი 3, პუნქტი ა.ა.გ. და მუხლი 4 პუნქტი 2).

მითითებულ მისამართზე მიწის ნაკვეთს (ს.კ.01.19.18.005.103) კვეთს სს „თელასის" კუთვნილი 35კვ-ის სჰაერო ელ.გადამცემი ხაზი „ორხევი 1", საჰაერო ელექტრო გადამცემი ხაზის მიმდებარედ დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

1.საჰაერო ელ. გადამცემი ხაზის მაქსიმალურად გადახრილი განაპრა სადენიდან ორივე მხარეს 3 მეტრზე ახლო მანძილზე აკრძალულია მრავალწლოვანი ნარგავების გაშენება (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერი #366 დადგენილება. მუხლი 3, პუნქტია.გ.გ.)

2.მანძილი სეგხ–ის განაპირა სადენებიდან ორივე მხარეს მაქსიმალური გადახრის შემთხვევაში საცხოვრებელიან საზოგადოებრივი შენობის უკიდურესად გასმოშვერილ ნაწილამდე არ უნდა იყოს 4 მეტრზე ნაკლები. მშენებლობის დროს გათვალისწინებული იქნას მათი აშენება უწვადი მასალების გამოყენებით (ელ.დანადგართა მოწყობის წესების (IIУЭ პ. 2.5.115).

3.აკრძალულია ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებთან 35კვ–ის ანძასთან მისასვლელი გზების ლიკვიდაცია ან ჩახერგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არა ნაკლებ 3 მეტრი სიგანის) (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერი #366 დადგენილება., მუხლი 4, პუნქტი ე);

4.აკრძალულია ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში სათამაშო სპორტული მოედნების, ბაზრობების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების, საველე კარვების განლაგება, ყველა სახის მანქანა-მექანიზმების და საქონლის სადგომების მოწყობა, ნებისმიერი სახის ღონისძიებების ჩატარება, რომელიც დაკავშირებულია დიდი რაოდენობით ხალხის თავშეყრას-თან, თუ ისინი არ ასრულებენ ნებადართულ სამუშაოებს (საქართველოს მთავრო-ბის 2013 წლის 24 დეკემბერი #366 დადგენილება. მუხლი4, პუნქტი ვ);

5.სეგხ–ის დაზიანების ან უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, ხაზის დაცვის ზონაში (15 მეტრი განაპირა სადენიდან ორივე მხარეს). ყველა სახის სამუშაო წერილობით შეთანხმებული უნდა იყოს სს „თელასის" შესაბამის სამსახურთან. (საქართვე-ლოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერი #366 დადგენილება., მუხლი 3, პუნქტი ა. ა. დ. დამუხლი 4 პუნქტი 2);

მიწის ნაკვეთს (ს.კ.ს.კ.01.19.18.005.103) კვეთს სს „თელასის" კუთვნილი 6-10კვ-ის საკაბელო ელ.გადამცემი ხაზი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილე-ბის „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ (მუხლი 3, პუნქტი ბ) თანახმად საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზებისათვის დაცული უნდა იყოს შემდეგი ნორმები :

ბ.ა) მიწისქვეშა საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს განაპირა კაბელებიდან დაშორებულია შემდეგი მანძილით:

ბ.ა.ა) 1 კვ-ის ზევით - 1 მეტრი ორივე მხრიდან;

ბ.ა.ბ) 1 კვ-მდე - 1 მეტრი ორივე მხრიდან; თუ საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზი გადის დასახლებათა ტროტუარების ქვეშ, მაშინ - 0,6 მეტრი შენობა-ნაგებობის მხარეს და 1 მეტრი ქუჩის სავალი ნაწილის მხარეს;

მითითებულ მისამართზე (ს.კ.01.19.18.005.103) მიწის ნაკვეთს კვეთს სს „თელასის" კუთვნილი 6-10კვ-ის საჰაერო ელ.გადამცემი ხაზი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილება, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი ა.ა.ე და მუხლი 4, პუნქტი 2, ქვეპუნქტი გ; თანახმად საჰაერო ელ.გადამცემი ხაზის მიმდებარედ დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

1.საჰაერო ელ.გადამცემი ხაზის განაპირა სადენიდან ორივე მხარეს 3 მეტრზე ახლო მანძილზე აკრძალულია მრავალწლიანი ნარგავების გაშენება.

2.მანძილი სეგხ–ის განაპირა სადენებიდან ორივე მხარე მაქსიმალური გადახრის შემთხვევაში საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი შენობის უკიდურესად გამოშვერილ ნაწილებამდე არ უნდა იყოს 2 მეტრზე ნაკლები. მშენებლობის დროს გათვალისწინებული იქნას მათი აშენება უწვადი მასალების გამოყენებით.

3.მშენებლობის დროს დაპროექტდეს და მოეწყოს დამიწების კონტური ელ.დანადგართა მოწყობის წესების შესაბამისად.

4.აკრძალულია ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებთან 6-10კვ–ის ანძასთან მისასვლელი გზების ლიკვიდაცია ან ჩახერგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი სიგანის).

5.სეგხ–ის დაზიანების ან უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, ხაზის დაცვის ზონაში (10 მეტრი განაპირა სადენიდან ორივე მხარეს) ყველა სახის სამუშაო წერილობით შეთანხმებული უნდა იყოს სს „თელასის" შესაბამის სამსახურთან.

სს „თელასი" არ არის წინააღმდეგი მშენებლობის წარმოების, თუ დაცული იქნება ზემოთ აღნიშნული ნორმები.

სს „თელასის" გენერალური
დირექტორი ს. კობცევი

შემს.შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყ. უფროსის მ.შ. გ. პატარქალიშვილი
ტელ. 2 77 99 99 1(7959)